

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის სამმართველო
TBILISI DIVISION

№ 1-03/955

19 სექტემბერი 2014წ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრის დირექტორს ლ. თოდუას

ქალბატონო ლია,

2014 წლის 1 სექტემბერს სურსათის ეროვნული სააგენტოდან თბილისის სამმართველოში შემოვიდა თქვენი #2-671 წერილი, რომელიც ეხებოდა სუპერმარკეტ „ფუდმარტში“ შემენილ „კოლხის“ პურში ობის სოკოების აღმოჩენის ფაქტს.

2014 წლის 3 სექტემბერს თბილისის სამმართველოს სპეციალისტების მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლაბორატორიული კვლევისათვის შესყიდული იქნა შპს „კოლხი გრუპი“-ს მიერ წარმოებული დაჭრილი, შეფუთული ქვის პურის (სარეალიზაციო ვადა. 05.09.14) 1 ნიმუში. ლაბორატორიიდან მიღებული გამოცდის ოქმების საფუძველზე დადგინდა, რომ პურის ნიმუშის უვნებლობის პარამეტრები (ტოქსიკური ელემენტები) შეესაბამება სანიტარიული წესებისა და ნორმების „ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი“ წაყენებულ მოთხოვნებს სანქდან 2.3.2.000-00 3 6.4.7.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ობისა და საფუარის სოკოებზე კვლევა ვერ განხორციელდა, რადგან აღნიშნული პარამეტრები სანქდან 2.3.2.000-00 არ რეგულირდება.

ასევე, გაცნობებთ, რომ შპს „კოლხი გრუპი“-ს წარმოებაში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ უახლოეს მომავლში ჩატარდება გეგმიური ინსპექტირება.

პატივისცემით,

ცეზარ მაჩიტაძე

სამმართველოს უფროსი

